

# ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის პირობები №GLC-001/20-C

## მუხლი 1. დაზღვევი ხელშეკრულების საგანი

1.1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია დამზღვევის საკუთრებაში და ლიზინგის მიმღების კანონიერ მფლობელობაში/სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა მზღვეველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დამზღვევის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე, შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან:

1.1.1. ავტოსატრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანება; ხანძარი, აფეთქება; სტიქიური უბედურებები (გარდა მიწისძვრისა და სეტყვისა\*) დაზღვევის საგნის გატაცება, გატაცების მცდელობა (კერძოდ: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა), მითვისება, გაფლანგვა, თაღლითობა; ასევე, პოლისში შესაბამისი მითითების არსებობის შემთხვევაში - გაუზიანარება; გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული გამონაკლისებისა;

*\* (მიწისძვრის და სეტყვის რისკისგან დაფარვა საჭიროებს მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებას).*

1.1.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე; კერძოდ, დაზღვეული ავტოსატრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომა;

1.1.3. უფლებამოსილი მძღოლისა და მისი მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან.

1.2. წინამდებარე დაზღვევის პირობების საფუძველზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ღია პოლისი. აღნიშნული პოლისით დაზღვეულ სატრანსპორტო საშუალებებთან მიმართებაში მთლიანად ვრცელდება წინამდებარე დაზღვევის პირობები.

1.3 მხარეები ვთანხმდებიან რომ, წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებით ასევე დაიფარება დამზღვევის საკუთრებაში და ლიზინგის მიმღების კანონიერ მფლობელობაში არსებული ისეთი ავტოსატრანსპორტის მხოლოდ სრული დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ხანძრით, აფეთქებით, სტიქიური უბედურებებით (გარდა მიწისძვრისა და სეტყვისა\*), ქურდობა/ძარცვა/ყაჩაღობით და გაუზიანარებით (პოლისში შესაბამისი მითითების არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაზღვევის მომენტში უკვე იმყოფება დაზიანებულ მდგომარეობაში. ამასთან, დაზღვევა ძალაში იქნება სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან მის სრულ შეკეთებამდე, მაგრამ არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათ) კალენდარულ დღისა, რომელიც უფრო ადრე დადგება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში დაზიანებული ავტოსატრანსპორტის შეკეთების შემთხვევაში, დამზღვევის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, ავტოსატრანსპორტი დაეზღვევა წინამდებარე ხელშეკრულების 1.1.1.-1.1.3. პუნქტით გათვალისწინებულ რისკებზე სრული საბაზრო ღირებულებით.

*\* (მიწისძვრის და სეტყვის რისკისგან დაფარვა საჭიროებს მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებას).*

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, 1.3. პუნქტის თანახმად დაზღვეულ ავტოსატრანსპორტზე არ ვრცელდება 1.1.1.-1.1.3. პუნქტებით გათვალისწინებული დაფარვები.

## მუხლი 2. ტერმინთა განსაზღვრებანი:

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

**დამზღვევი** – პირი, რომელიც ღებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

**ლიზინგის მიმღები** – ინდივიდუალური მეწარმე ან იურიდიული პირი, რომელიც დამზღვევთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, შემდგომი შესყიდვის უფლებით ან უფლების გარეშე, მფლობელობაში და სარგებლობაში იღებს ლიზინგის საგანს.

**მოსარგებლე** – პირი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

**სადაზღვევო შემთხვევა** – მოულოდნელი მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

**სადაზღვევო თანხა** – თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის ადგილით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; ამასთან, მხარეები ვთანხმდებიან რომ, წინამდებარე ხელშეკრულების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული რისკისთვის სადაზღვევო თანხა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი დაზიანებული ავტომობილის საინვოისო ღირებულებას.

**სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მზღვეველის მიერ მოსარგებლის სახელზე;

**სადაზღვევო პრემია** – თანხა, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად და რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით

გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;

**ფრანშიზა** – შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი და რომელიც აკლდება ზარალის ოდენობას; სხვადასხვა სადაზღვევო შემთხვევისა და თითოეული პირის მიმართ შეიძლება დადგენილი იქნას ცალ-ცალკე ფრანშიზები, რაც, ასევე, ასახვას ჰპოვებს შესაბამის სადაზღვევო პოლისში;

**სადაზღვევო პერიოდი** (დაზღვევის მოქმედების ვადა) – კონკრეტულ სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას. ამასთან, მხარეები ვთანხმდებიან რომ, წინამდებარე პირობების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული რისკისთვის დაზღვევის პერიოდი განისაზღვრება სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან მისი შეკეთების თარიღამდე, მაგრამ არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათ) კალენდარულ დღისა, რომელიც უფრო ადრე დადგება. ამასთან, შეკეთების თარიღად ჩაითვლება დამზღვევის ავტორიზებული შემკეთებელი საწარმოს მიერ 3.3.2. პუნქტის თანახმად გაცემული ცნობა.

**სადაზღვევო პოლისი** – წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

**დაზღვევის განაცხადი** – მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის და ლიზინგის მიმღების მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებელი მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები.

**უფლებამოსილი მძღოლი** – ლიზინგის მიმღების ნებისმიერი თანამშრომელი ან პირი/ები, რომელიც დაზღვევის შესაბამის განაცხადსა და პოლისში განსაზღვრულია როგორც უფლებამოსილი მძღოლი და რომლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვის დროსაც დაზღვევა ძალაშია (უფლებამოსილი მძღოლი აუცილებლად უნდა იყოს არანაკლებ 21 და არაუმეტეს 75 წლის და უნდა გააჩნდეს მართვის უფლებამოსილება, მინიჭებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად);

**დაზღვევის საგანი** – წინამდებარე ხელშეკრულების 1.1.1. და 1.3. პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკებისათვის – კონკრეტული ავტოტრანსპორტი, მითითებული დაზღვევის განაცხადის საფუძველზე გაცემულ შესაბამის სადაზღვევო პოლისში; 1.1.2. პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკისათვის – სამოქალაქო პასუხისმგებლობა; 1.1.3. პუნქტით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკისათვის – უფლებამოსილი მძღოლის და/ან მისი მგზავრების სიცოცხლე და ჯანმრთელობა;

**ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება (განადგურება)** – ავტომანქანის დაზიანება 70%-ით ან მეტით. სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს ან თუ განადგურებულია ავტომანქანის 70% ან მეტი; ამასთან, მხარეები ვთანხმდებიან რომ, წინამდებარე პირობების 1.3. პუნქტით გათვალისწინებული რისკებისთვის დაზიანებული ავტოტრანსპორტი ითვლება განადგურებულად, თუ მისი დაზღვევის მომენტისთვის არსებულ მდგომარეობამდე შეკეთების ღირებულება მისი საინვოისო ღირებულების 70%-ს ამ მეტს შეადგენს, ასევე მისი გაუჩინარების შემთხვევაში.

**ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება** – ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის ანალოგიური მარკის, მოდელის და სხვა მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტის შესაძენად;

**გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

**დაზღვევის გეორგაფიული არეალი** – საქართველო

*წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.*

### **მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

#### **3.1. მზღვეველი ვალდებულია:**

3.1.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს დამზღვევს შესაბამისი დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს დამზღვევი და ლიზინგის მიმღები შესაბამისი განაცხადის ფორმით;

3.1.2. მიიღოს დამზღვევის განაცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;

3.1.3. შეადგინოს სადაზღვევო აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა;

3.1.4. მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისავის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის დამზღვევისა და მზღვეველის მიერ ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი ვადა კონკრეტული შემთხვევისათვის. ხოლო მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების, ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობის, (მათი

მცდელობის) რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული თვის ვადაში; მზღვეველი უფლებას იტოვებს გადაავადოს ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის, ლიზინგის მიმღების, უფლებამოსილი მძღოლის, მოსარგებლის ან მათი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე; მზღვეველი ასევე უფლებას იტოვებს გადაავადოს ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება მითვისების/ გაფლანგვის/ თაღლითობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებამდე.

3.1.5. თუ დამზღვევსა (დაზღვეულს) და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს – კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების (დაზღვეულის /უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) მზღვეველისათვის წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

3.1.6. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

### **3.2. მზღვეველი უფლებამოსილია:**

3.2.1. გააკონტროლოს დამზღვევისა და ლიზინგის მიმღების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;

3.2.2. შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება და შესთავაზოს დამზღვევს, ახალი ხელშეკრულების დადება შეცვლილი სახით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობები;

3.2.3. ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის ან/და ლიზინგის მიმღების მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია.

3.2.4. გავზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;

3.2.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;

3.2.6. სრული კონტროლი გაუწიოს დამზღვევის მიმართ მესამე პირთა პრეტენზიის მოგვარებისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურას;

3.2.7. მოახდინოს დაზღვეული დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერება და ფოტოგადაღებები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;

3.2.8. შეადგინოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგენითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);

3.2.9. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს დამზღვევის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;

3.2.10. მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მზღვეველის მიერ შეცვლილ ავტოტრანსპორტის ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას – განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო გატაცების, მითვისების, გაფლანგვის, თაღლითობის ან გაუზიანების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში – ნაპოვნ სატრანსპორტო საშუალებაზე. შესაბამისად, დამზღვევი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამასთან, ხსენებული უფლების რეალიზაცია მზღვეველის მიერ შეიძლება განხორციელდეს ავტოტრანსპორტზე (მის ნაწილებზე) საკუთრების უფლების გადმოსვლით ან დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის (მისი ნაწილების) რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით, ამასთან, ავტოტრანსპორტის (მისი ნაწილების) რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დამზღვევი წინასწარ ათანხმებს მზღვეველთან. დამზღვევის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას;

3.2.11. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიერ შეცვლილ ავტოტრანსპორტის ნაწილების/განადგურებულ ავტოტრანსპორტის მზღვეველისათვის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა არ ხერხდება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით ობიექტური მიზეზების გამო (რაც არ არის დაკავშირებული დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევასთან ან მის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან) და მხარეები არ შეთანხმებულან დამზღვევის მიერ შეცვლილი ავტოტრანსპორტის ნაწილების/განადგურებული ავტოტრანსპორტის რეალიზაციაზე, ან/და განადგურებულ ავტომანქანაზე რეგისტრირებულია სამართლებრივი

აკრძალავა/შეზღუდავს ან/და გირავნობის უფლება ან/და არსებობის სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მზღვეველზე საკუთრებისა და მფლობელობის უფლების გადმოსვლას, მზღვეველი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით შეცვლილი ავტორტრანსპორტის ნაწილების/ განადგურებული ავტორტრანსპორტის ნარჩენი საბაზრო ღირებულება გამოქვითოს გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურებიდან ან, თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, მოითხოვოს შეცვლილი ავტორტრანსპორტის ნაწილების/ განადგურებული ავტორტრანსპორტის ნარჩენი საბაზრო ღირებულების ანაზღაურება დამზღვევისაგან.

3.2.12. არ ანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3.2.13. არ ანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტიდან აღემატება სადაზღვევო ღირებულებას;

3.2.14. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტიდან აღემატება დამზღვევს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოკვეთოს შესაბამის დავალიანების თანხა.

### **3.3. დამზღვევი ვალდებულია:**

3.3.1. განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი პირობები და ნაკისრი მოვალეობები;

3.3.2. უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადავად აუცილებელი ინფორმაციით, მათ შორის 1.3. პუნქტით გათვალისწინებული რისკებზე ავტორტრანსპორტის დაზღვევისთვის წარმოდგენილ უნდა იქნას დაზღვევის მომენტში ყველა მხრიდან გადაღებული ფოტოსურათები (ვინ კოდის ფოტოსურათის ჩათვლით), ხოლო 90 დღიანი ვადის გასვლის შემდგომ ახალი დაზღვევის გაფორმების სურვილის შემთხვევაში, წარუდგინოს მზღვეველს შეკეთებული ავტორტრანსპორტის ფოტოსურათები (ასევე ყველა მხრიდან გადაღებული ვინ კოდის ჩათვლით) და ცნობა დამზღვევის ავტორიზებული შემკეთებელი საწარმოდან იმის თაობაზე, რომ ავტორტრანსპორტი სრულად შეკეთებულია და ვარგისია გზებზე მოძრაობისთვის. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება დაზღვევის განხორციელების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს.

3.3.3. დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;

3.3.4. წინამდებარე გენერალური ხელშეკრულების დასადავად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ., ავტორტრანსპორტის გასხვისება, სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა-დამატება, ავტომანქანის გასაღების ან სიგნალიზაციის პულტის დაკარგვა და ა.შ.) შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან;

3.3.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობოს ამის შესახებ მზღვეველის ქოლ ცენტრს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველს შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

3.3.6. მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად;

3.3.7. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება გაიცემა მზღვეველის მიერ და მზღვეველი მხოლოდ ზეპირი/სატელეფონო ინსტრუქტაჟით შემოიფარგლება;

3.3.8. გაუწიოს მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამოძვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;

3.3.9. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

3.3.10. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში;

3.3.11. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე;

3.3.12. ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ავტორტრანსპორტის უსაფრთხოების დასაცავად;

3.2.13. მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება სურვილისამებრ ნებისმიერ დროს შეამოწმოს დაზღვეული ავტორტრანსპორტის მდგომარეობა;

3.3.14. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს;

3.3.15. აღჭურვოს დაზღვეული ავტორტრანსპორტი სიგნალიზაციით, თუ ამას მზღვეველი მოითხოვს;

3.3.16. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;

3.3.17. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მე-3 მუხლის 3.3.5. პუნქტის შესაბამისად;
- ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი (სადაზღვევო პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში, დამზღვევის წერილობითი განცხადების საფუძველზე გაიცემა პოლისის დუბლიკატი, ხოლო დაკარგული პოლისი ძალადაკარგულად ითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები ანაზღაურებას არ ექვემდებარება);
- გ) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით; საგზაო შემთხვევისას – ცნობა საპატრულო პოლიციიდან დაწესებული ფორმით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები; ასევე, საგზაო შემთხვევის სქემა;
- დ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი; ორიგინალი კი – ქურდობის, ასევე, სრული განადგურების შემთხვევაში;
- ე) მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;
- ვ) მძღოლის სიფხიზლის ცნობა;
- ზ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომანქანა არ წარმოადგენს დამზღვევის (მოსარგებლის) საკუთრებას ანუ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობაში მესაკუთრედ სხვა პირი არის მითითებული – ასეთი პირის წერილობითი განცხადება მოსარგებლისათვის ანაზღაურების მიღების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე;
- თ) თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეული მესამე პირის ქმედებით, მზღვეველს უნდა წარმოუდგინოს ასეთი მესამე პირის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- ი) მოსარგებლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები.
- კ) დაზღვეული ავტოტრანსპორტის გაუჩინარების შემთხვევაში – დამზღვევისა და მზღვეველის მიერ შეთანხმებული სხვა შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაცია.

ლ) 1.3. პუნქტით გათვალისწინებული რისკისთვის დაზღვევის მომენტში ავტოტრანსპორტისთვის გადაღებული ფოტოსურათები წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

მ) 1.3. პუნქტით გათვალისწინებული რისკისთვის ყველა ზემოსხენებულ დოკუმენტაციასთან ერთად დამზღვევმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ავტოტრანსპორტის ინვოისი.

3.3.18. ამ ხელშეკრულების 1.1.2. და 1.1.3. პუნქტებით გათვალისწინებული სადაზღვევო დაფარვებზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გარდა 3.3.17 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა, დამზღვევი ვალდებულია, მზღვეველს წარუდგინოს ასევე შემდეგი დოკუმენტები:

- ა) შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;
- ბ) დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპუტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება აქვთ (საავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა);
- გ) თუ დაზღვეულის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სხვა პირი იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, გარდაცვალების შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტია სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;
- დ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულსა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით – ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად სცნობს სარჩელს ან მის ნაწილს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- ე) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი.

3.3.19. იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტს გააჩნია ერთზე მეტი ქარხნული გასაღები (სიგნალიზაციის პულტი), რაც მითითებული უნდა იყოს დაზღვევის განაცხადში, დამზღვევს (დაზღვეულს) / ლიზინგის მიმღებს ექსპლუატაციაში უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები შეინახოს საიმედო ადგილას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, გატაცების რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები. ამასთანავე, დაზღვეული ავტოტრანსპორტის ქურდობის შემთხვევაში დამზღვევმა უნდა წარმოადგინოს დაზღვევის განაცხადში მითითებული ყველა გასაღები და სიგნალიზაციის პულტი, ხოლო ძარცვა, ყაჩაღობის, მითვისება/გაფლანგვისა და თაღლითობის შემთხვევაში – სათადარიგო გასაღებ(ებ)ი და პულტი (ასეთის მითითებისას განაცხადში), წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი, ასევე, იტოვებს უფლებას, მოიხსნას ნაკისრი ვალდებულებები.

3.3.20. დაფაროს საგზაო შემთხვევის გამო ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხსენებული თანხა დააკლდება მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების სახით გასაცემ თანხას;

3.3.21. თუ დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული, დამზღვევი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მზღვეველის ინფორმირება და შესაბამისი წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა

მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ანუ თუ დაზღვეული ინტერესი რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხები ჯამში საბაზრო ღირებულებას აჭარბებს, მზღვეველები დამზღვევის წინაშე ვალდებული არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია დამზღვევთან გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში (სადაზღვევო პოლისში), მაგრამ დამზღვევს არ აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

### **3.4. დამზღვევი უფლებამოსილია:**

- 3.4.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;
- 3.4.2. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

### **3.5. ლიზინგის მიმღები ვალდებულია:**

- 3.5.1. მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად;
- 3.5.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობოს ამის შესახებ მზღვეველის ქოლ ცენტრს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე და მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნულის საწინააღმდეგო მითითება გაიცემა მზღვეველის მიერ და მზღვეველი მხოლოდ ზეპირი/სატელეფონო ინსტრუქტაჟით შემოიფარგლება;
- 3.5.3. გაუწიოს მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;
- 3.5.4. ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის უსაფრთხოების დასაცავად;
- 3.5.5. მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება სურვილისამებრ ნებისმიერ დროს შეამოწმოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის მდგომარეობა;
- 3.5.6. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს დამზღვევს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
- 3.5.7. აღჭურვოს დაზღვეული ავტოტრანსპორტი სიგნალიზაციით, თუ ამას მზღვეველი მოითხოვს; ავტოტრანსპორტის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, ჩაკეტოს იგი და ასევე, ჩართოს სიგნალიზაცია (თუ ასეთით ავტოტრანსპორტი აღჭურვილია).
- 3.5.8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;
- 3.5.9. მუდამ თან იქონიოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა და არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს იგი ავტოტრანსპორტში. \
- 3.5.10. თუ წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის საგანი მის მიერ სხვა მზღვეველთან არის დაზღვეული, ლიზინგის მიმღები ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს დამზღვევის და მზღვეველის ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა.
- 3.5.11. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უზრუნველყოს მზღვეველისათვის თანხების ანაზღაურება, მზღვეველის მოთხოვნის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

## **მუხლი 4. დაზღვევის პირობები**

**4.1. - I ნაწილი 1.1.1. რისკისთვის - ავტოტრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანება; ხანძარი, აფეთქება; სტიქიური უბედურებები (მიწსიძვრის და სეტყვის გარდა\*) დაზღვევის საგნის გატაცება, გატაცების მცდელობა (კერძოდ: ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა), მითვისება, გაფლანგვა, თაღლითობა; ასევე სადაზღვევო პოლისში შესაბამისი მითითების არსებობისას - გაუჩინარება; გარდა წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული გამონაკლისებისა**

4.1.1. მზღვეველი განახორციელებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, ფრანშიზისა და წინამორბედ შემთხვევებზე (ასეთის არსებობისას) გაცემული თანხების (ანაზღაურების) გამოკლებით, ავტოტრანსპორტის გატაცების ან გატაცების მცდელობის (კერძოდ, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის) მითვისების, გაფლანგვის, თაღლითობის, ასევე სადაზღვევო პოლისში შესაბამისი მითითების არსებობისას – გაუჩინარების დროს ან იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის ან მისი ნაწილების დაზიანება ან განადგურება გამოწვეულია შემდეგით:

- ა) გარეგანი ზემოქმედება;
- ბ) ავტოსაგზაო შემთხვევა;
- გ) ხანძარი, აფეთქება.

4.1.2. ავტოტრანსპორტის სრული განადგურების (ფიზიკურად განადგურება, გატაცება, მითვისება, გაფლანგვა, თაღლითობა და სადაზღვევო პოლისში შესაბამისი მითითების არსებობისას - გაუჩინარება) შემთხვევაში, მზღვეველი

მხარეთა შეთანხმებით შესაბამისად აუნაზღაურებს დამზღვევის/მოსარგებლეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენით ან შენაცვლებით ღირებულებას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით. სადაზღვევო ანაზღაურება შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი წესით:

- მზღვეველი გადაიხდის თანხას არაუმეტეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებისა, ან:
- მზღვეველი დამზღვევის სასარგებლოდ შეიძენს განაცხადში მითითებული მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების შესაბამის ავტოტრანსპორტს.

**ამასთან, წინამდებარე პირობების 1.3. პუნქტით გათვალისწინებულ რისკების ხდომილების შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის სრულად განადგურების შემთხვევაში მზღვეველი ანაზღაურებს თანხას არაუმეტეს ამგვარი ავტოტრანსპორტის საინვოისო ღირებულებისა.**

4.1.3. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით მზღვეველი თავისუფლდება დამზღვევის წინაშე მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან გადახდილი თანხის ფარგლებში.

4.1.4. ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში მოქმედებს სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგი წესი: სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემდგომ და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მზღვეველი და დამზღვევი თანხმდებიან, რომ ზარალის შეფასება ხდება ერთობლივად, დამზღვევისა და მზღვეველის წარმომადგენლების მიერ, კერძოდ: ან დამზღვევი წარუდგენს მზღვეველს იმ ხარჯების ჩამონათვალს, რომლებიც საჭირო იქნება ავტოტრანსპორტის შესაკეთებლად (აღსადგენად), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი არ დაეთანხმება წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას, იგი, თავისი უფლებამოსილი ექსპერტის მეშვეობით განაზოცილებს ხარჯების ობიექტურ კორექტირებას ამორტიზაციისა თუ სხვა არსებით გარემოებათა გათვალისწინებით; ან მზღვეველი თავად წარუდგენს დამზღვევს მზღვეველის უფლებამოსილი ექსპერტის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვას. ამასთან, დამზღვევის მოთხოვნა შესაბამის ავტორიზებულ ავტო-ცენტრში მომსახურების მიღების თაობაზე მზღვეველის მიერ დაკამოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომანქანის ხნოვანება არ აღემატება 2 (ორ) წელს. ამასთან, თუ ავტოტრანსპორტის ხნოვანება 2 წელს არ აღემატება და დამზღვევი მოითხოვს, მისი აღდგენა განხორციელდეს კონკრეტულ ავტო-ცენტრში და/ან აღდგენითი ღირებულება განისაზღვროს კონკრეტული ავტო-ცენტრის პუნქტის მიერ, მზღვეველი უფლებამოსილია, დამზღვევის/მოსარგებლის სასარგებლოდ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურება გადაურიცხოს უშუალოდ ასეთ ავტო-ცენტრს.

4.1.5. ზარალის შეფასების აქტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის შემდეგ დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომელიც არის მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველი და რომლითაც დამზღვევი და მზღვეველი თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში, გადაირიცხება დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე. სადაზღვევო შემთხვევის აქტს ხელს აწერს, როგორც მზღვეველი, ისე - დამზღვევი.

4.1.6. გარდა ზემოაღნიშნულისა, ნაწილობრივი დაზიანებისას მზღვეველი ანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეთანხმებულ შემკეთებელ პუნქტამდე გადაყვანის (ევაკუაციის) ხარჯებს, ამასთან, სრული განადგურებისას შემკეთებელ პუნქტამდე გადაყვანის (ევაკუაციის) ხარჯებს გაიღებს თავად დამზღვევი.

4.1.7. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს მზღვეველი ფარავს;
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს დამზღვევი ფარავს;
- გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.

4.1.8. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულებაზე (საბაზრო ღირებულებაზე) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ, მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების (საბაზრო ღირებულების) შეფარდების შესაბამისად.

4.1.9. ქურდობის (ან მისი მცდელობის) შედეგად ავტომანქანის ნაწილების დაზიანების ან გატაცების შემთხვევაში, შეფარდებული იქნება ის ფრანშიზა (არაანაზღაურებადი მინიმუმი), რომელიც გათვალისწინებულია ქურდობის რისკისათვის, თუ შესაბამის სადაზღვევო პოლისში განსხვავებული ფრანშიზა არ არის საგანგებოდ გათვალისწინებული ნაწილობრივი ქურდობის რისკისათვის.

4.1.10. სრული განადგურების რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მზღვეველის მიერ ასანაზღაურებელ თანხას დააკლდება ასეთი მომენტისათვის დამზღვევის მიერ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდისათვის მზღვეველისათვის გადასახდელი სადაზღვევო პრემიის (ასეთის არსებობისას) თანხა.

## **4.2. - II ნაწილი - სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე**

4.2.1. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, სხეულის დაზიანება ან რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მაშინ, მზღვეველი აუნაზღაურებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ

წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

4.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი:

4.2.2.1. დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;

4.2.2.2. მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტის 20%-ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო მზღვეველთან შეთანხმებული;

4.2.2.3. დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;

4.2.2.4. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

4.2.3. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის/ანაზღაურების ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო ლიმიტს, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:

4.2.3.1. მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში – მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

ა) ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუნარო შეიქმნა;

ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;

გ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით).

4.2.3.2. თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგება, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:

ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – დაკარგული ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობას, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი ღირებულების, რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია, ღირებულების გამოქვითვით;

ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს.

4.2.4. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამოდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების, ასევე, მესამე პირთა ქონების ხელყოფის შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

4.2.5. სადაზღვევო პოლისში სხვა ქვე-ლიმიტის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა იზღუდება ამგვარი ქვე-ლიმიტის გათვალისწინებით;

4.2.6. ერთი შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. არავის აქვს უფლება, ორჯერ მიიღოს ანაზღაურება წინამდებარე დაზღვევის თანახმად, ერთი და იგივე ზიანისთვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისათვის;

4.2.7. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას;



4.2.8. გამონაკლისს მოცემული სახის დაფარვისათვის წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს:

- ა) დამზღვევი ან ლიზინგის მიმღები;
- ბ) პირს, რომელიც უბედური შემთხვევის მომენტში მართავდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტს; ან
- გ) დაზღვეული პირის (ასევე უფლებამოსილი მძღოლის) ოჯახის წევრს, ასევე, დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების მგზავრს;
- დ) დაზღვეულის/ლიზინგის მიმღების დაქვემდებარებულს/თანამშრომელს მათ შორის არსებული ხელშეკრულების ძალით.

4.2.9. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი, ასევე, პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოშობილია ნებისმიერი სხვა კონტრაქტის ან შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებისა.

4.2.10. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიხილება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმაგრებული ნებისმიერი მისაბმელით.

### 4.3. - III ნაწილი - უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან

4.3.1. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობების შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას უფლებამოსილი მძღოლის და/ან მისი მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანებით/გარდაცვალებით;

4.3.2. მზღვეველი აუნაზღაურებს შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ანაზღაურებას იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა ამ პირობების მიხედვით.

4.3.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, თითოეულ დაზარალებულზე (ერთ პირზე) პოლისით განსაზღვრული ქვე-ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:

- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯებს;
  - საავადმყოფომდე მიყვანის ხარჯებს;
  - საავადმყოფოში მკურნალობის და ყოფნის ხარჯებს;
  - კიდურების/ორგანოების დაკარგვისთვის გათვალისწინებულ კომპენსაციას;
- დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში მის მემკვიდრეებს აუნაზღაურდებათ:

ერთ პირზე მიმდინარე განსაზღვრული ლიმიტის 100%, დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით; დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში, ანაზღაურების მიმღების არ არსებობის შემთხვევაში, მზღვეველი ანაზღაურებს მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს, ერთ პირზე განსაზღვრული ქვე-ლიმიტის ფარგლებში.

4.3.4. გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობისა და დაზარალებული პირის უახლოეს საავადმყოფოში ტრანსპორტირების ხარჯები გამოითვლება შესაბამისი სამედიცინო ქვითრების საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს 300 (სამასი) ა.შ.შ. დოლარისა ერთ პირზე;

4.3.5. საავადმყოფოში მკურნალობაზე გონივრულად გაწეული, საავადმყოფოს ანგარიშ-ფაქტურის მეშვეობით დასაბუთებული ხარჯები, მაგრამ არაუმეტეს ერთ პირზე დადგენილი პასუხისმგებლობის ლიმიტის 20 %-სა.

4.3.6. კიდურის/ორგანოს დაკარგვისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გამოითვლება ქვევით მოყვანილი საკომპენსაციო ცხრილის მიხედვით, სადაც 100%-ით ანაზღაურება უდრის შესაბამისი პასუხისმგებლობის ქვე-ლიმიტს ერთ პირზე (დაზარალებულის ჯანმრთელობის აღდგენისათვის/ტრანსპორტირებისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით):

- ერთი თირკმლის დაკარგვა – 40%;
- ერთ ყურში სმენის დაკარგვა – 15%;
- ერთ ყურში სმენის დაკარგვა, თუ მეორეში სმენა უბედურ შემთხვევამდე იყო დაკარგული – 45%;
- ერთ თვალში მხედველობის სრული და საშუალო დაკარგვა – 30%;
- მხედველობის 60%-ზე მეტით დაკარგვა ერთ თვალში – 20%;
- მხედველობის სრული დაკარგვა – 100%;
- ერთი კიდურის დაკარგვა – 40%;

4.3.7. რამოდენიმე ორგანოს დაზიანების შემთხვევაში, პირველი პროცენტული ანაზღაურების შემდეგ, ყოველი შემდგომი დამატებითი პროცენტი გამოითვლება პასუხისმგებლობის ლიმიტის დარჩენილი თანხიდან.

4.3.8. კიდურების დაკარგვაზე ან დაზიანებაზე გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა ხორციელდება საავადმყოფოში მკურნალობის დასრულების და დაზიანების ხარისხის საბოლოო განსაზღვრის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ 1 წლის შემდეგ ორგანოს ფუნქციის მოშლის მომენტიდან, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში დადასტურდება ორგანოს ფუნქციის სრული

მუდმივი მოშლა; აღნიშნული ერთწლიანი პერიოდი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ორგანოს ფუნქციის სრული მუდმივი მოშლა იმთავითვე დადასტურებულია.

4.3.9. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამოდენიმე ადამიანის მიერ სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებული პირისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით;

4.3.10. მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა ერთ პირზე, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის მოცულობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს პოლისით გათვალისწინებულ ქვე-ლიმიტს ერთ პირზე;

4.3.11. ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის ოდენობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ლიმიტს.

4.3.12. არ ანაზღაურდება დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის და/ან მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

## **მუხლი 5. საერთო გამონაკლისები**

### **მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი:**

5.1. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დიზაინზე, დეფექტური მასალების გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებებზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

5.2. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე;

5.3. მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნზე ან ამით გამოწვეულ ავტოტრანსპორტის დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამზღვევისათვის წინასწარ არ იყო ცნობილი აღნიშნულის შესახებ;

5.4. უშუალოდ დაზღვეული ავტოტრანსპორტის საბურავებზე მიყენებულ დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საბურავების ასეთი დაზიანება, თავის მხრივ, შედეგად მოყვა დაზღვეულ რისკებს და ამავდროულად, ასეთი შემთხვევის შედეგად, გარდა საბურავებისა, ავტოტრანსპორტის სხვა ნაწილებიც დაზიანებულია და რომლის გამოც, დამზღვევი (მოსარგებლე) უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება ავტომანქანის ნაწილობრივი ან სრული განადგურების რისკზე;

5.5. დაზღვეული ავტოტრანსპორტის კუთვნილი ტელე-აუდიო-ვიდეო აპარატურის გატაცებაზე, მითვისებაზე, გაფლანგვაზე, თაღლითობის გზით მისაკუთრებაზე ან დაზიანებაზე;

5.6. წინამდებარე ხელშეკრულებასა და სადაზღვევო პოლისში აღნიშნულის გარდა რომელიმე სხვა რისკზე;

5.7. იმ ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის, ლიზინგის მიმღების, მათი წარმომდგენლის, უფლებამოსილი მძღოლის ან დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მგზავრის საკუთრებას, მინდობილობით ინახება მასთან, ან რომლის გადაზიდვა ხორციელდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ანდა ზარალი გამოწვეულია დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმავრებული ნებისმიერი მისაბმელით;

5.8. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;

5.9. გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;

5.10. შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია:

5.10.1. იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით;

5.10.2. რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;

5.11. შედეგებზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, მასობრივი არეულობით, აჯანყებით, ლოკალურ, დიქტატორული რეჟიმით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციით ან ჩამორთმევით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით და სხვა ანალოგიური მიზეზებით;

5.12. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

5.13. შემთხვევებზე, როდესაც დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განაზოცილებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;

5.14. თუ დაზღვეულ ინტერესთან ან დაზღვევის საგანთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევეს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით.

## **მუხლი 6. ანგარიშსწორების წესი და პირობები**

6.1. დამზღვევის მიერ ყოველი კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების დაზღვევისათვის მზღვეველის სასარგებლოდ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის, შესაბამისი სადაზღვევო თანხის, მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტების, სადაზღვევო ტარიფისა და უპირობო ფრანშიზის მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისით წარმოდგენილი კონკრეტული განაცხადი-ანკეტის მონაცემთა საფუძველზე.

6.2. მზღვეველის ვალდებულებები ძალაში შედის შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ამასთან, სადაზღვევო პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება.

## **მუხლი 7. რეგრესის წესი**

7.1. მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში. დამზღვევეი ვალდებულია გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები), რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

7.2. დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომელიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.

7.3. თუ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია ამ პუნქტში მითითებული რომელიმე მიზეზით ან შედეგია რომელიმე მითითებული გარემოების, მზღვეველი უფლებამოსილია მოსარგებლისათვის სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ, რეგრესის წესით თანხა მოითხოვოს ლიზინგის მიმღებისგან, გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობით. მზღვეველი, ლიზინგის მიმღების მიმართ, უფლებამოსილია რეგრესის უფლება გამოიყენოს შემდეგ შემთხვევებზე:

7.3.1. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი არ გამოიყენებოდა იმ მიზნით, რომელიც მითითებული ან აღნიშნული იყო დაზღვევის განაცხადში;

7.3.2. შემთხვევაზე, რომლის დადგომის დროს დაზღვეულ ავტოტრანსპორტში იმყოფებოდა მგზავრთა ის რაოდენობა, რომელიც ხელს უშლიდა მანქანის მართვას ან საფრთხეს უქმნიდა დაზღვეულ ავტოტრანსპორტში მყოფი ნებისმიერი პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ნებისმიერი სახის ქონების უსაფრთხოებას;

7.3.3. შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების ავტომობილში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურისთვის გადაცემას; შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;

7.3.4. უბედურ შემთხვევაზე, დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში. აღნიშნული გამონაკლისი არ მოქმედებს 1.3. პუნქტით გათვალისწინებული რისკისთვის;

7.3.5. შემთხვევაზე 21 წელზე ახალგაზრდა მძღოლის ასევე, მძღოლის, რომლის ასაკი აღემატება 65 წელს ან/და მართვის უფლებამოსილების არ მქონე მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვისას;

7.3.6. შემთხვევაზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტისათვის ქურდობა/მარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით მიყენებული დაზიანებისა;

7.3.7. შემთხვევაზე ავტოტრანსპორტის გამოყენებისას მგზავრთა/ტვირთის გადაყვანის მიზნით ან ავტოტრანსპორტის გაქირავებისას, თუ ამგვარი გამოყენება არ არის მითითებული პოლისში, ასევე, თუ შემთხვევა შედეგად მოყვა ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას, ასევე, საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა სახის ტრანსპორტით, მათ შორის, ლაფეტით გადაზიდვას ან ბუქსირით გადაადგილებას;

7.3.8. შემთხვევებზე ავტოტრანსპორტის აეროდრომის ან აეროპორტის ტერიტორიაზე მართვისას, გარდა სპეციალურ ავტოსადგომებზე მომხდარი შემთხვევებისა;

7.3.9. შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ავტოტრანსპორტის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული ავტომანქანის

უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ბრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ბრალით); უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას ან ისეთ განზრახ ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;

7.3.10. ქურდობის შემთხვევებზე, თუ ასეთის დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა დატოვებული იყო გატაცებულ სატრანსპორტო საშუალებაში;

7.3.11. გაჩერებული დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევებში, თუ არ მოხდება მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება და ადგილი ექნება მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე ავტოტრანსპორტის ადგილიდან დაძვრას;

7.3.12. შემთხვევებზე, თუ იგი დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმო გადაყვანის/გადაადგილები დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას;

7.3.13. მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნზე ან ამით გამოწვეულ ავტოტრანსპორტის დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ლიზინგის მიმღებისათვის წინასწარ არ იყო ცნობილი აღნიშნულის შესახებ;

7.3.14. ლიზინგის მიმღების ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეულ ქმედებებზე. ასევე, სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;

7.3.15. გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია ლიზინგის მიმღების ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა დამზღვევს და მზღვეველს წერილობითი ფორმით ან დანზღვევს ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;

7.3.16. შემთხვევებზე, როდესაც ლიზინგის მიმღები დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მზღვეველთან შეუთანხმებლად;

## **მუხლი 8. დავა, ზიანის ანაზღაურება**

8.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 9. ფორს-მაჟორი**

9.1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა.

9.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში მხარეთა ვალდებულებანი წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

## **მუხლი 10. დაზღვევის/ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

ბ) დამზღვევის ან მზღვეველის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

გ) შესაბამისი პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

დ) თუ დაზღვევის საგანი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში);

ე) თუ დამზღვევი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;

ვ) ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში).

ზ) თუ სადაზღვევო რისკის ზრდა დამზღვევის, მისი წარმომადგენლის, ლიზინგის მიმღების ან დამზღვევის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

თ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

10.2. მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების 11.1 მუხლის ა, გ, დ და ვ ქვეპუნქტებისა, როდესაც დაზღვევა შეწყდება ამგვარი მოვლენის დადგომის მომენტიდან), იგი ვალდებულია გაუგზავნოს დამზღვევს წერილობითი შეტყობინება მის იურიდიულ მისამართზე 30 დღიანი ვადის დაცვით. სადაზღვევო პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი დაუბრუნდება დამზღვევს იმ პირობით, თუ იგი დააბრუნებს სადაზღვევო პოლისის მისი გაუქმებიდან 14 დღის განმავლობაში, ასევე, 11.4. პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით;

10.3. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში იგი ვალდებულია გაუგზავნოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მის იურიდიულ მისამართზე 30 დღიანი ვადის დაცვით. დამზღვევს, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაუბრუნდება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია პროპორციულად, ხოლო გამოუმუშავებული სადაზღვევო პრემია ნებისმიერ შემთხვევაში ექვემდებარება დამზღვევის მიერ გადახდას.

10.4. ამასთან, დაზღვევის შეწყვეტისას მზღვეველის მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში კონკრეტულ სატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემია ასეთ სატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში დაბრუნებას არ ექვემდებარება, განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას კი გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება დამზღვევის მიერ სრულად დაფარვას.

## **მუხლი 11. დასკვნითი დებულებები**

11.1. დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ისინი წარმოადგენენ დაზღვევის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11.2. დაზღვევის ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც გარეშეც.

11.3. დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადგილსამყოფელის მიხედვით. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გამგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

11.4. დაზღვევის ხელშეკრულება / პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს “კრედიტინფო საქართველოს” (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის №06/5-51, საიდენტ. №204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევის აღრიცხვას “კრედიტინფო საქართველოს” მონაცემთა ბაზაში.

11.5. დაზღვევის ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე;